# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 8 აპრილი 2004 №78 (2097) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# გუნდები მხოლოდ თქვენ არ ხართ! ფეხბურთი მხოლოდ თქვენი არ არის!



დეპორტივო — მილანი 4:0. ვალერონის გოლმა „დეპორტივო“ მხრებში გაშალა

*„ამას ნამდვილად არ ველოდით. ის, რაც მოხდა, აუხსნელია, მით უმეტეს, რომ ჩვენი გუნდი ყოველმხრივ მობილიზებული ჩანდა. თან წინა დღეს „რეალის“ მაგალითი გაფრთხილებად მივიღეთ“ — თქვა წუხელ კარლო ანჩელოტიმ.*

*გუნდები მხოლოდ თქვენ არ ხართ! ფეხბურთი მხოლოდ თქვენი არ არის! — თქვეს გუშინწინ და გუშინ ეგრეთ წოდებულმა „უფრო პატარა“ გუნდებმა — ასეთ ტერმინს ევროპულ პრესაში ხშირად შეხვდებით.*

*მაინც რა მოხდა? ჩემპიონთა ლიგამ ელიტა დაჰკარგა? მაყურებელი მოაკლდა? ან იქნებ ნაღდი, ხალხური ფეხბურთი დაბრუნდა? თუმცა, არა, არ ჰგავს... მეორე მხრივ ჰგავს...*

*ჩვენ ჯერ ვერაფერს ვამბობთ. თქვენ?*

# აკაკი დევაძემ ხელთათმანი ჩაიცვა: ბედს ხელთათმანი გადაუგდო

## ალმა ფრენა, ტაში, პოპულარობა, ნაკრები, გერმანია, როსტოვი, ისრაელი, ქუჩა, პოლიცია, სროლა, დაჭრა, დაშვება, მონანიება და იმედი



# ნაკრები

ინტერვიუ აკაკი დევაძესთან იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდებზე

## ჩემპიონთა ლიგა
### 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები. გუშინ

*დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)* 4:0 მილანი (იტალია) (1:4)

1:0 პანდიანი (5), 2:0 ვალერონი (35), 3:0 ლუკე (44), 4:0 ფრანი (76)

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო, სერხიო (დუშერი 87), ვიქტორი, მაურო სილვა, ვალერონი (ჯალმინია 90), პანდიანი, ლუკე (ფრანი 66)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო (რუი კოშტა 77), გატუზო, პირლო (სერჟინიო 60), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ტომასონი (ინძაგი 67)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: პირლო (55), ვიქტორი (67), პანდიანი (83)

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

29 000 მაყურებელი

ლიონი (საფრანგეთი) 2:2 *პორტუ (პორტუგალია)* (0:2)

0:1 მანიშე (6), 1:1 ლუინდულა (14), 1:2 მანიშე (47), 2:2 ელბერი (90)

ლიონი: კუპე, ედმილსონი, მიულერი, ბერტოდი, ესიენი (რეველიერი 60), მ. დიარა, დორასო (დეფლანდრე 76), მალუდა, ჟუნინიო პერნამბუკანო (ბერგონო 60), ელბერი, ლუინდულა

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, მანიშე, კოშტინია, ალენიჩევი, დეკო სოუზა (პ. მენდეში 76), მაკკარტი (იანკაუსკასი 57), კარლოს ალბერტო (პედრუ ემანუელი 47)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: დეკო სოუზა (12), ჟორჟე კოშტა (39), ვიტორ ბაია (45), ჟუნინიო პერნამბუკანო (48), ედმილსონი (70, 74)

გაძევება: ედმილსონი (74)

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

40 000 მაყურებელი

## ნახევარფინალი

### მონაკო — ჩელსი

პირველი მატჩი — 20 აპრილი
საპასუხო მატჩი — 5 მაისი

### პორტუ — დეპორტივო

პირველი მატჩი — 21 აპრილი
საპასუხო მატჩი — 4 მაისი

### ინგლისი
პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
მილუოლი 0:0 კარდიფი

### შოტლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
ლივინგსტონი 1:1 კილმარნოკი
მოზერუელი 1:1 ჰართსი

### გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
აუგსბურგი 3:1 პფულენდორფი

### იტალია
სერია B. გადადებული მატჩი
სალერნიტანა 0:0 პიაჩენცა

### ჰოლანდია
II დივიზიონი. XXXII ტური
ჰელმონდი 2:3 იგლსი

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა
XXIX ტური
ადმირა 0:1 აუსტრია
ზალცბურგი 3:2 კერნტენი
გრაცერი 1:0 ბრეგენცი
პაშინგი 3:0 შტურმი
რაპიდი 2:0 მატერსბურგი

### ხორვატია
თასის 1/2 ფინალი. I მატჩი
დინამო 4:2 რიეკა

### სლოვაკეთი
თასის 1/4 ფინალი. I მატჩი
ლიხატვორცე 1:1 ტრნავა
პეტრჟალკა 3:1 დუშლო სალა

### ჩეხეთი
თასის 1/8 ფინალი
*ჟიჰლავა* 2:1 პლზენი

### პოლონეთი
თასის 1/2 ფინალი. I მატჩი
კატოვიცე 1:2 ლეხი

### რუსეთი
პრემიერლიგა. V ტური
ალანია 0:3 სატურნი
დინამო 1:1 ტორპედო
კრილია სოვეტოვი 1:0 ამკარი
ყუბანი 1:1 როტორი
ლოკომოტივი 0:1 ტ. მეტალურგი
როსტოვი 1:3 ცსკა
სპარტაკი 1:0 შინიკი
ზენიტი 4:3 რუბინი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. XXII ტური
ჰალადაში 0:1 ფერენცვაროში
მტკ 0:1 უიპეშტი
დიორ ეტო 1:5 დებრეცენი
ბეკეშჩაბა 3:3 შოპრონი
ბალატონი 2:0 პეჩი
ვიდეოტონი 2:2 ზალაეგერსეგი

### საბერძნეთი
თასის 1/2 ფინალი
პირველი მატჩი
კასტორია 0:3 ოლიმპიაკოსი
თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი
აეკ 0:1 *პანათინაიკოსი* (2:2)

### სლოვენია
თასის 1/4 ფინალი
ლიუბლიანა 2:1 დრავოგრადი
მარიბორი 4:0 იესენიცე

### შვეიცარია
სუპერლიგა. XXVIII ტური
იანგ ბოისი 1:0 გრასჰოპერი
ჩელენჯლიგა. XXV ტური
კონკორდია 1:1 სიონი
დელემონი 1:0 კიასო

### სერბეთი
პრვა ლიგა. XXIII ტური
ჰაიდუკი 0:3 ობილიჩი
ნაპრედაკი 0:1 პარტიზანი
რადნიჩკი 1:0 ბუდუჩნოსტი
ცრვენა ზვეზდა 0:0 ჟელეზნიკი
სარტიდი 1:1 ოფკ
ვოივოდინა 2:1 სუტიესკა
ზემუნი 1:0 კომი
ზეტა 1:2 ბორაცი

# ცხვირი, ცხვირი დასწიეთ!



REUTERS

სერხიომ კლარენს ზეედორფი ისე მოახრჩო, როგორც „დეპორტივომ“ „მილანი“

ლიგ-ლიგობით გამოეთიშნენ ევროპის უდიდეს საკლუბო შეჯიბრებას კონტინენტის უმსხვილესი გუნდები. ადრე გავარდნილებს აქ აღარ ვახსენებთ და, მარტო გუშინწინ და გუშინ დაეცნენ „რეალი“, „არსენალი“ და „მილანი“, ხოლო ისინი, ვისაც აქამდე წვრილფეხობად მიიჩნევდნენ, „მონაკო“, „დეპორტივო“ და „პორტუ“, არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარფინალში გავიდნენ. და რომ არა რომან აბრამოვიჩი თავისი მილიონებით, ალბათ, „ჩელსიზეც“ წვრილფეხას იტყოდნენ. აბა, ტიტულებით ვის დაკარგვია, ორადორჯერ თასების თასი აქვს მოგებული და სულ ეს არის.

მაშ, ასე, დარჩნენ „ჭილყვავები“: „მონაკო“ „ჩელსის“ წინაალმდეგ და „პორტუ“ „დეპორტივო ლა კორუნიას“ წინაალმდეგ, თუმცა ვინ იცის, ეს უფრო საინტერესო, ალალი და მავანთათვის ჭკუის სასწავლებელი იყოს. თავად განსაჯეთ, ევროპის 14 ბობოლა გუნდის გაერთიანება, ეგრეთ წოდებული G14 ხომ სულაც ყველა საფეხბურთო სტრუქტურიდან გასვლას და ნებ-ლ-სავით თუ ნბა-სავით თავისი რაღაც ზელიგის შექმნას გეგმავდა. ახლა იმას მაინც ეტყვიან, თქვენ ჯერ „ჭილყვავებს“ მოუგეთ და ცხვირი მერე აგვიბზიუეთ და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს „ჭილყვავები“ სინამდვილეში ხომ „ჭილყვავები“ არ არიან. ეს ძალიან ძლიერი გუნდები არიან და თუ ვინმეს არ სჯერა, „მილანს“ და „რეალს“ ჰკითხოს.

წუხელ „პორტუს“ და „ლიონის“ შეხვედრაში სენსაციური არაფერი მომხდარა. ექვით მაინც ყველამ ვიცოდით, რომ უეფას თასის მფლობელი „პორტუ“ „ლიონზე“ უკეთესი გუნდია, რომელსაც თან პირველი შეხვედრა 2:0 მოეგო. საპასუხო მატჩი საფრანგეთში 2:2 დასრულდა. ანგარიში თავიდანვე „პორტუმ“ გახსნა და მასპინძლებს საერთოდაც ორჯერ გაუხდათ გასათანაბრებელი.

სენსაციური გამოდგა დღის მეორე შეხვედრა ლა კორუნიაში, „რიასორზე“, სადაც „დეპორტივომ“ „მილანს“ უმასპინძლა. ამ გუნდების პირველი მატჩი „სან სიროზე“ „შავწითლების“ 4:1 გამარჯვებით დასრულდა, ასე რომ, ხავიერ ირურეტას და მის შეგირდებს წუხელ 3:0 აძლევდათ ხელს. ეს შედეგი, დაგვეთანხმებით, წინასწარ უფრო ზღაპრულს ჰგავდა, ამას „დეპორტივო“ მხოლოდ კეთილი ჯადოქრის ჯოხის დახმარებით თუ შეძლებდა, მაგრამ 3:0 კი არა, 4:0 მოიგო და თან ისე, რომ ორი ჯადოქარი დაიხმარა. ერთმა ესპანელების დიდებული თამაში ბრძანა, მეორემ კი იტალიელების ალბათ მაინც არასწორი მოქმედებანი. და ვეჭვობთ, რომ ამ ჯადოქრების გვარ-სახელები ცნობილია. ზემოხსენებული ირურეტა და კარლო ანჩელოტი, „მილანის“ თავკაცი.

პაპუნა კედია



REUTERS

„ლიონი“ — „პორტუ“. გრეგორი კუპე მანიშე რიბეირუმ ორჯერ დაჯაბნა

# უეფას თასი 2003-2004. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბორდო (საფრანგეთი) – ვალენსია (ესპანეთი)

# რამეს ბენიტესის სალათა მოსწონს



ჟან-კლოდ დარშევილი: „ვალენსიასთან" საბრძოლველად მზად ვარ!

**დაახლოებით** ერთი თვის წინ პაბლო აიმარი დაშავდა და სამიოდ კვირა გაუცდა. არგენტინელმა გამოჯანმრთელების შემდეგ ორი მატჩის თამაში მოასწრო. აიმარი გასულ კვირას სანაკრებოდ გამოიძახეს და სამშობლოდან კვლავ ტრავმირებული დაბრუნდა.

რაფაელ ბენიტესი შემადგენლობას მუდმივად ცვლის და აიმარის გამოკლება მის გუნდს დიდად არ დეატყობა. როტაციას პრინციპის ერთგული მწვრთნელი „რეალს" კუდზე აზის და ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს. დღეს ვისენტეს, რუფეტესა და ანგულოს თამაშიც საეჭვოა. მარცხენაფლანგელი ვისენტე „მურსიასთან" მატჩში დაშავდა. ანგულოს სურდო შეჰყრია, რუფეტეს კი ნეკნები სტკივა.

ბორდოელი ალბერტ რიერა თვლის, რომ „ვალენსია" ნებისმიერი გუნდისთვის უხერხული მეტოქეა: „ძალიან რთული თამაში გველის, მათ კონტრშეტევაზე თამაში კარგად გამოსდით".

ყოფილი რეალელი ალბერტ სელადესი: „ვალენსიას" დამარცხება ძნელია. ჩვენ ძალების სრული მობილიზაცია დაგვჭირდება სასურველი შედეგის მისაღწევად. „ბორდო" ყველა მეტოქეს პატივს სცემს, მაგრამ არავისი გვეშინია. უეფას თასზე გაცილებით კარგად ვთამაშობთ, ვიდრე ჩემპიონატში და ამის მეიმედება. აუცილებლად მოგება გვსურს, რომ საპასუხო მატჩისთვის უპირატესობა გვქონდეს".

მასპინძელთა მეკარე ულრიხ რამე: „ვალენსია" გამოცდილი და თან ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების ნაზავია. რაფაელ ბენიტესი თავისი საქმის კარგი მცოდნეა. მის გუნდს საკუთარი ხელწერა აქვს, სხვებისგან აშკარად გამოირჩევა. არც ჩვენ ვართ ჯაბანნი და მოსაგებად ვიბრძოლებთ".

### გზა მეოთხედფინალამდე

**ბორდო**

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | არტმედია | 2:1, 1:1 |
| II ეტაპი | ჰართსი | 0:1, 2:0 |
| III ეტაპი | გროცლინი | 1:0, 4:1 |
| მერვედფინალი | ბრიუგე | 3:1, 1:0 |

**ვალენსია**

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | აიკ | 1:0, 1:0 |
| II ეტაპი | მაკაბი (ჰაიფა) | 0:0, 4:0 |
| III ეტაპი | ბეშიქთაში | 3:2, 2:0 |
| მერვედფინალი | გენჩლერბირლიგი | 0:1, 2:0 |

## პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) – ნიუკასლი (ინგლისი)

# რობსონი ძველ სიყვარულს გაიხსენებს

**ეინდჰოვენს** სერ ბობი რობსონის „ნიუკასლი" ეწვევა. ინგლისელი მწვრთნელი ოდესღაც პსვ-ს თავკაცობდა და ზედიზედ ორჯერ ჰოლანდიის ჩემპიონიც გახდა.

„პსვ მეტად სახიფათო გუნდია — თქვა რობსონმა — მართალია, ჩემპიონატში „აიაქსს" ჩამორჩება, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. მას ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეუძლია და ჩვენთანაც, ცხადია, მოსაგებად ითამაშებს. მე სამი შესანიშნავი წელი გავატარე ეინდჰოვენში და ბევრი მეგობარი შევიძინე, რომლებსაც ალბათ მოვინახულებ".

„ნიუკასლი" პრემიერლიგაში მეხუთე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. კაპიტანი და მთავარმეგოლე ალან შირერი ბრწყინვალე ფორმაშია, გასულ უქმეებზე „ევერტონს" წყვილი გაუტანა.

პსვ-ს ტრავმირებული არიან რობენი არ ეყოლება, რომელიც მომავალი სეზონიდან „ჩელსის" მაისურას მოირგებს. ასევე ვერ ითამაშებს ნახევარმცველი იოჰან ფოგელი, მაგრამ ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდებიან ანდრე ოიერი და დენის რომედალი.

ნახევარფინალში გასვლის შანსი ამ გუნდებს, შეიძლება ითქვას, თანაბრად აქვთ. ორივე შემტევი ფეხბურთის მოყვარულია და გოლების გატანაც ეხერხებათ. რა თქმა უნდა, დღეს „ნიუკასლი" დაცვას ოდნავ მეტ ყურადღებას დაუთმობს, მაგრამ კრეიგ ბელამისა და ალან შირერის პატრონ ბობი რობსონს ეინდჰოვენში მოსაგებად თამაში არ უნდა გაუჭირდეს.

### გზა მეოთხედფინალამდე

**პსვ ეინდჰოვენი**

| | | |
|---|---|---|
| III ეტაპი | პერუჯა | 0:0, 3:1 |
| მერვედფინალი | ოსერი | 1:1, 3:0 |

**ნიუკასლი**

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | ბრედა | 5:0, 1:0 |
| II ეტაპი | ბაზელი | 3:2, 1:0 |
| III ეტაპი | ვოლერენგა | 1:1, 3:1 |
| მერვედფინალი | მალიორკა | 4:1, 3:0 |

## მარსელი (საფრანგეთი) – ინტერი (იტალია)

# ლამუშის მარსელთან მუშაობა სურს

**საინტერესო** წყვილია. „მარსელი" საფრანგეთის ჩემპიონატში შეტევებს მიჩვეული. „ინტერი" კი უმეტესად იმას ცდილობს, გოლი არ გაუშვას.

მარსელელთა მთავარი მწვრთნელი ჟოზე ანიგოს ბედი ორი კვირის წინ სასწორზე იდო. მის შეცვლას ლორან ბლანით აპირებდნენ, მაგრამ კლუბის ბოსმა თქვა, ანიგოს ვენდობიო და შედეგიც მიიღო. „მარსელმა" სტუმრად „ლიონი" დაამარცხა. ჟოზე ანიგოს უმთავრესად ის ფაქტი ახარებს, რომ გუნდმა დაცვაში თამაში გამოასწორა. „ბასტიასთან" გაშვებული ოთხი გოლის შემდეგ სამხრეთელებმა „ლივერპულს" ერთიღა გაატანინეს და თამაში მოიგეს. მერე კი ლიონში ჩემპიონატის ლიდერს აჯობეს.

„ინტერის" ფრანგი ნახევარმცველი საბრი ლამუში თვისტომთა გუნდზე ასე ბჭობს: „მარსელს" ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს. მათი მეკარე ფაბიენ ბარტეზია, თავდამსხმელი კი დიდიე დროგბა, რომელიც ბომბარდირების ნუსხაში მეორე ადგილზეა. „მარსელი" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, საფრანგეთის ჩემპიონატშიც ლიდერებს ჩამორჩა, მაგრამ უეფას თასზე შესანიშნავად თამაშობს, აკი თვით „ლივერპული" გააგდო. ჩვენ უკვე მოვახერხეთ „სოშოს" ჩამოშორება, მაგრამ „მარსელი" გაცილებით მაღალი კლასის გუნდია. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოებაც. სამხრეთ საფრანგეთში გუნდებს განსხვავებული გულშემატკივრები ჰყავთ".

„ინტერის" მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი „იუვენტუსთან" გამარჯვების შემდეგ კარგ ხასიათზეა. ამბობს, გუნდში ჩინებული განწყობაა, ამ მომენტში „ინტერი" მზადაა ნებისმიერი მეტოქის დასამარცხებლადო.

მილანელთა მეკარე ფრანჩესკო ტოლდო ფორმაშია. ბრეშემ, კოკომ, კრუზმა, რეკობამ და ვიერიმ ცალ-ცალკე ივარჯიშეს, თუმც ისინი დღეს სათამაშოდ მზად არიან.

### გზა მეოთხედფინალამდე

**მარსელი**

| | | |
|---|---|---|
| III ეტაპი | დნიპრო | 1:0, 0:0 |
| მერვედფინალი | ლივერპული | 1:1, 2:1 |

**ინტერი**

| | | |
|---|---|---|
| III ეტაპი | სოშო | 0:0, 2:2 |
| მერვედფინალი | ბენფიკა | 0:0, 4:3 |

## სელტიკი (შოტლანდია) – ვილიარეალი (ესპანეთი)

# პელეგრინის სელტიკი გამოცდის

„ვალიარეალის" თავდამსხმელ მანუელ ვაქტორს მიაჩნია, რომ „სელტიკს" უფრო იოლად სძლევენ, ვიდრე „რომას".

„ჩვენ არ ვაპირებთ სელტიკელთა მორიგი მსხვერპლი გავხდეთ „ბარსელონას" შემდეგ. ხალხი „სელტიკ პარკზე" მოგებას შეუძლებლად მიიჩნევს, მაგრამ გლაზგოში გამარჯვებისთვის მივდივართ. მგონია, რომ „რომას" დამარცხება გაცილებით რთული იყო, ვიდრე „სელტიკის" ძლევა იქნება. იტალიური გუნდი უკვე წარსულია და მომავალზე, ანუ „სელტიკზე" უნდა ვიფიქროთ. რა თქმა უნდა, სტუმრად შოტლანდიაში გამარჯვება ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. ნებისმიერ მატჩში ხომ თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ თამაშობს. სელტიკელებს არ დაავიწყდეთ, რომ თანაბარ ბრძოლაში ყველაფერია შესაძლებელი. „ვილიარეალი" სიურპრიზებს ამზადებს."

„ვილიარეალს", რომელიც ინტერტოტოდან უეფას თასის მეოთხედფინალში მოხვდა, ახალი ჩილელი მწვრთნელი დაუნიშნეს, ჩილელი მანუელ ლუის პელეგრინი. იანვრის შემდეგ ესპანურ გუნდს მთავარი მწვრთნელი აღარ ჰყავდა და მოვალეობას ფრანსისკო გარსია პაკიტო ასრულებდა. ახლა გაცხადდა, რომ გარსიას ადგილს 50 წლის პელეგრინი დაიკავებს. იგი ბოლოს არგენტინაში, „რიველ პლეიტში" მუშაობდა და 18-თვიანი თანამშრომლობის შემდეგ კლუბს დაშორდა.

მარტინ ონილის გუნდზე კი ვთქვათ, რომ კრის სატონმა და ალან ტომპსონმა კონტრაქტები გაახანგრძლივეს. მასპინძლების კარს კვლავ ახალგაზრდა დევიდ მარშალი დაიცავს, ჰენრიკ ლარსონი კი, როგორც ყოველთვის, მეტოქის მცველებს დააწიოკებს.



მანუელ პელეგრინი

### გზა მეოთხედფინალამდე

**სელტიკი**

| | | |
|---|---|---|
| III ეტაპი | ტეპლიცე | 3:0, 0:1 |
| მერვედფინალი | ბარსელონა | 1:0, 0:0 |

**ვილიარეალი**

| | | |
|---|---|---|
| I ეტაპი | ტრაბზონსფორი | 0:0, 3:2 |
| II ეტაპი | ტორპედო (მოსკოვი) | 2:0, 0:1 |
| III ეტაპი | გალათასარაი | 2:2, 3:0 |
| მერვედფინალი | რომა | 2:0, 1:2 |

## ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მიწაზე

## ჩვეულებრივზე ჩვეულებრივები

*მონაკო (საფრანგეთი)* 3:1 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) (2:4)
0:1 რაული (36), 1:1 ჟიული (45), 2:1 მორიენტესი (48), 3:1 ჟიული (66)
მონაკო: რომა, იბარა, როდრიგესი, გივე, ევრა, ე. სისე, პლასილი, ჟიული (ელ ფაკირი 82), როტენი, პრსო (ნონდა 61), მორიენტესი (ადებაიორი 85)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
რეალი: კასილიასი, სალგადო (რაულ ბრავო 85), ელგერა, მეხია, რობერტო კარლოსი, ფიგუ, გუტი (პორტილიო 88), ბორხა (სოლარი 72), ზიდანი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: ელგერა (30), ბორხა (60), რომა (90)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
18 500 მაყურებელი




**სამშაბათს** სეზონის უდიდესი შოკის ავტორი დასახელდა — „მონაკო"! სამთავროს გუნდმა მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე" წაგებული (2:4) შინ „ლუი მეორეზე" (3:1) შემოატრიალა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა.

„რეალი" გავარდა!

არადა, რაულის გოლმა ესპანელთა „სამეფო გუნდის" უპირატესობა გაზარდა. მადრიდელების კაპიტანმა ხომ პირველ ტაიმში საპასუხო შეხვედრის პირველი გოლი შეაგდო და ჯამური ანგარიში 5:2 გახდა, მაგრამ ლუდოვიკ ჟიულის ორმა და ფერნანდო მორიენტესის ერთმა გოლმა „რეალს" სამყარო და ოცნება დაუნგრია.

„მონაკოს" თითქოს ნახევარდაცვაში ჰქონდა პრობლემა, ლუკას ბერნარდი და აკის ზიკოსი აკლდნენ, მაგრამ ჩეხი იაროსლავ პლასილი შუაში შევიდა, ედუარდ სისეს შეუწყვილდა და პრობლემაც მოგვარდა. ხოლო თავდასხმაში მორიენტესის მხარდამხარ დადო პრსო ათამაშდა.

და მაინც, მასპინძლებმა ცოტა ნელა დაიწყეს. მართალია, პატრის ევრამ და ჟიულიმ სცადეს „რეალის" კარში დარტყმა, მაგრამ მე-16 წუთზე კინალამ სტუმრები დაწინაურდნენ — სისეს პასი ზინედინ ზიდანმა ჩაჭრა. ფრანგ ვარსკვლავს დრო ჰქონდა და ამ დროთი სრულიად ისარგებლა კიდეც, მაგრამ მისი დარტყმული მეკარე ფლავიო რომამ არ გაუშვა.

ამ სახიფათო მომენტის შემდეგ „მონაკომ" პასები დახვეწა და 25-ე წუთზე მარცხენა ფრთიდან ჟერომ როტენის ჩაკიდებული ჟიულიმ იგდო მარცხენა ფეხით, თუმცა ვერ გაიტანა. სამი წუთის შემდეგ მორიენტესის მიერ საჯარიმოდან ლონივრად დარტყმული უკვე მეკარემ, იკერ კასილიასმა მოიგერია.

თუმცა, როგორც ზემოთ გითხარით, ანგარიში მადრიდელებმა გახსნეს. ეს 36-ე წუთზე მოხდა, როდესაც ზიდანმა შეტევა მარცხენა ფრთიდან წამოიწყო და დაბალი პასი მიაწოდა რაულს, რომელმაც მარცხენა ფეხით ბურთი ზედა კუთხეში შეაგდო. ცხადია, მოვლენების ასეთმა განვითარებამ „ლუი მეორეზე" შეკრებილი საზოგადოება დაადუმა, მაგრამ შესვენების წინ, მსაჯის წამატებულ წუთებში „მონაკომ" ანგარიში გაათანაბრა. საჯარიმოში ჩაწოდებული მაღალი ბურთი მორიენტესმა თავით დააგდო, ხოლო ჟიულიმ დაახლოებით 20 მეტრიდან დაჰკრა დიდებულად და შედეგიანად.

მეორე ტაიმში „მონაკო" ბრძოლის ჟინით ანთებული დაუბრუნდა მოედანს. ჯერ იყო და, ჟიულის დარტყმული ახლო ძელთან კასილიასმა მოიგერია, ხოლო შემდეგ, 48-ე წუთზე, მორიენტესმა საფირმო თავურით დააწინაურა თავისიანები. საგოლე პასი მორიენტესს ევრამ ჩააწოდა.

57-ე წუთზე ლუიშ ფიგუს დარტყმული ჯარიმა რომამ მოიგერია, მაგრამ ამ დროს, ზოგადად, შეტევებს უკვე საპირისპირო მიმართულება ჰქონდათ. მაგალითად, უგო იბარას ჩაკიდებულ ბურთს შორეულ ძელთან მორიენტესმა მიუსწრო, მაგრამ ამჯერად გოლი ვერ შეაგდო. თუმცა ამის გამო მასპინძლებს გული არ გაუტეხავთ და იმავე იბარამ ჟიულის გაუწია ასისტენტობა — „რეალი" უკვე კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

ამ მომენტიდან მადრიდელებს გოლის გატანა კი სჭირდებოდათ, მაგრამ უფრო მწვავე მაინც „მონაკო" ჩანდა: 81-ე წუთზე როტენის ჩაწოდებულ კუთხურს გაელ გივემ თავი დაარტყა და ბურთი ძელს მიჰკრა.

მსაჯის წამატებულ დროში კი რაულს თითქოს შეეძლო „სამეფო გუნდის" გადარჩენა, მაგრამ შორეულ ძელთან ჩაწოდებულ ბურთს რომ მიწვდა, მიზანში არ წაუვიდა, ბურთი კარს გადაცდა.

**პაპუნა ქედია**

## დიდიე დეშანი



*უბრალოდ რომ ვთქვათ, განსაკუთრებული თამაში გამოგვივიდა. ჩემმა ფეხბურთელებმა ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობების ზღვარზე მეტი გამოავლინეს. ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი დავამარცხეთ, თან მაშინ, როდესაც მან თავად კარგად ითამაშა. მაგრამ საქმე ის არის, რომ „რეალის" ფეხბურთელები ისეთივე ადამიანები არიან, როგორც „მონაკოს" ფეხბურთელები. გალაქტიკურობა და კოსმიურობა არაფერ შუაშია, ფეხბურთი თავისებური სპორტია, აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. როგორც მადრიდში, ასევე მონაკოში, საკმარისი რაოდენობით გვქონდა სახიფათო მომენტები, რითაც ვისარგებლეთ კიდეც. ეს გამარჯვება ჩემს ყველა ფეხბურთელს მინდა მივულოცო. განსაკუთრებით კი ფერნანდო მორიენტესის გამორჩევა მსურს. იგი „რეალის" ძლევაში ისევე დაგვეხმარა, როგორც სხვა დანარჩენი მოწინააღმდეგეების დამარცხებაში. ასე და ამგვარად, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავედით, იმავდროულად საფრანგეთის პირველობას ვლიდერობთ და ეს მაშინ, როდესაც ზოგი გაზეთი წერს, რომ „მონაკოში" საქმეები ცუდად მიდის. ჩვენ რწმენა ერთი წუთით არ დაგვიკარგავს, ხოლო მადრიდელები ისე ჩამოვიდნენ, თითქოს ნახევარფინალში უკვე გასული ყოფილიყვნენ. ერთი სიტყვით, თვით „რეალი" დავამარცხეთ და ნახევარფინალში გავედით, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა სეზონის ჯილდოთი დასრულებაც შეგვიძლია. რაც შეეხება „ჩელსის", მათთან „სტემფორდ ბრიჯზე" ჩასვლა ჩემთვის საგანგებო ემოციასთან იქნება დაკავშირებული. იქ ჯერ კიდევ მყავს მეგობრები, მაგალითად, მარსელ დესაი. დამეთანხმებით, ყველას ეგონა, რომ ნახევარფინალში ერთმანეთს „არსენალი" და „რეალი" შეხვდებოდნენ, მაგრამ როგორც ხედავთ, „ჩელსიმაც" სიურპრიზი მოამზადა. მე ამ გუნდს პატივს ვცემ, თუმცა არ მეშინია. შიშის მიზეზი არ არსებობს".*

## კარლუშ კეიროში



*დიდიე დეშანის გუნდთან წაგება მწარე გამოდგა და მეც ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვკისრულობ, თუმცა ცუდად არ გვითამაშია. საქმე ის არის, რომ ყველა ჩვენს გამარჯვებას ელოდა. მასპინძლებმა თავით ითამაშეს კარგად, ოღონდ ჩვენ არც ამ ასპექტში ვიყავით წყალწაღებულები. არ მეგონა, რაულის გოლის შემდეგ „მონაკო" გონს თუ მოეგებოდა, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საფრთხემ, რომელიც თითქოს არ არსებობს, მოულოდნელად სხვა მხრიდან შეიძლება შემოგიაროს. გადამწყვეტი მომენტი, ჩემი აზრით, პირველი ტაიმის მიწურულს ჟიულის გოლი იყო. ამ გოლმა მატჩის და ორივე გუნდის მენტალიტეტი შეცვალა. ამის შემდეგ, მეორე ტაიმში ჩვენ დაღლილები ვჩანდით და შეცდომების დაშვება დავიწყეთ. ამიერიდან ყურადღებას ესპანეთის ჩემპიონატზე გადავიტანთ.*

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

# დაღლილი მკვდარი
## ვიზიარებ თქვენს მწუხარებას



### ფერნანდო მორიენტესი

არ დაგიმალავთ და „რეალის“ ტურნირიდან გამოთიშვამ თავისებურად გული დამწყვიტა — მე ხომ მადრიდელი ვარ, თუმცა ამავდროულად პროფესიონალი ფეხბურთელი და „მონაკოს“ გასამარჯვებლად თავი არ უნდა დამეზოგა. შესანიშნავად მესმის „რეალის“ მწუხარება. 6 წელი ამ კლუბში ვიყავი და ვიცი, რომ „ბერნაბეუს“ ინჩადასთვის მთავარი ჯილდო მუდამ ევროპის ჩემპიონთა თასის მოგებაა. მათ ეგონათ, რომ „სარაგოსასთან“ წაგებული კოპა დელ რეის მერე ლიგაში მაინც გამოიჩენდენ თავს. „რეალს“ პრიმერადივიზიონის ჩემპიონობას ვუსურვებ, ჩვენ კი საამაყო მატჩი გვქონდა — ლამაზი გამარჯვება თერთმეტივე ფეხბურთელმა თანაბრად დავიმსახურეთ.

### რაული

მწუხარების გადმოსაცემად სიტყვები არ მყოფნის. ყველაფერი შესანიშნავად დავიწყეთ და უცებ... ალბათ, მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო, სხვანაირად „რეალის“ წაგების ახსნა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც დეშანის ბიჭებს ღირსეულ გამარჯვებას ვულოცავ. ვფიქრობ, იღბალიც არ გვწყალობს, უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში „რეალმა“ ორი დიდი ჯილდო, კოპა დელ რეი და ჩემპიონთა ლიგა დაკარგა.

### ზინედინ ზიდანი

ვერ გეტყვით, ასეთი რამ რატომ მოხდა. პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ, თუმც, სამწუხაროდ, მეორეში ტემპის შენარჩუნება ვერ შევძელით. სიმართლეს თვალებში უნდა ჩავხედოთ — „მონაკო“ დღეს „რეალზე“ უკეთესი იყო. წაგების მერე ყოველთვის გული მტკივა, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით — დეშანმა თავისი ბიჭები მაგრად ათამაშა.

### რონალდო

კარგი პირველი ტაიმის მერე საშინელი იმედგაცრუებაა ფრანგებთან მეოთხედფინალში გამოვარდნა. „რეალს“ ის დაემართა, რასაც ყველაზე ნაკლებად წარმოვიდგენდი და რაც ყველაზე ნაკლებად გვინდოდა. ახლა პრიმერადივიზიონის მოგებაზე უნდა ვიფიქროთ. სასოწარკვეთა საქმეს ვერ უშველის, პირიქით, სულ დაღუპავს. მთავარია, „მონაკოსთან“ წაგება დროზე დავივიწყოთ და ესპანეთის ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ.

### რობერტო კარლოსი

„ლუი მეორეზე“ წაგებაში „რეალის“ ყველა მოთამაშე ერთნაირად ვართ დამნაშავე. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემპიონთა ლიგას გამოვეთიშეთ. მაგრამ აქედანვე ვიცი, რითი შეიძლება ფრანგებთან გაფუჭებული საქმის გამოსწორება. საამსეზონო პრიმერაზე გამარჯვება გვმართებს, ეს ერთი ტურნირიღა გვრჩება და თუ აქაც არაფერი გამოვიდა... უკვე დიდი ხანია, ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში პირველ ადგილზე ვართ და საჩემპიონო შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

### მიჩელ სალგადო

ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა. მოედანს ჩვენ ვაკონტროლებდით, ვიცოდით, რაც უნდა გაგვეკეთებინა და რაულის გატანილმა ბურთმაც თითქმის გაგვიყვანა ლიგის ნახევარფინალში. ჩემი აზრით, „რეალის“ ჩავარდნა მაშინ დაიწყო, ტაიმთაშორისამდე ჟიულიმ ანგარიში რომ გაგვითანაბრა. 2:1-ზე კიდევ შეიძლებოდა მატჩის შემოტრიალება, მაგრამ ჟიულის მეორე გოლმა მოგების შანსი პრაქტიკულად მოგვისპო.

### იკერ კასილიასი

შესაძლოა, მთავარი როლი „რეალის“ გამოვარდნაში გუნდის დაღლილობამ შეასრულა. საფინალო სასტვენის შემდეგ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მკვდარი ვიყავი და „მონაკოს“ სიხარულს სადღაც მიწის ქვემოდან ვუყურებდი.



იკერ კასილიასმა მარცხი დაღლას დააბრალა

| |
|---|
| **არსენალი (ლონდონი, ინგლისი) 1:2 *ჩელსი (ლონდონი, ინგლისი)* (1:1)** |
| 1:0 რეიესი (45), 1:1 ლამპარდი (51), 1:2 ბრიჯი (87) |
| არსენალი: ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი (ბერხკამპი 81), რეიესი |
| მწვრთნელი: არსენ ვენგერი |
| ჩელსი: ამბროზიო, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, პარკერი (გრონკიაერი 46), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (ჯ. კოული 82), ჰასელბაინკი (კრესპო 82), გუდიონსენი |
| მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი |
| გაფრთხილება: გალასი (9), ჰასელბაინკი (15), ლორენი (36), ჯ. კოული (84) |
| მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია) |
| 35 486 მაყურებელი |

# რანიერი გაგიჟდა, აბრამოვიჩიც გაგიჟდა...
## ახლა უკვე ყველაფერი შეიძლება

— „ჩელსიმ“ დიდებულად ითამაშა. მან დღეს ბოლომდე ბრძოლისა და გამარჯვების რუსული ხასიათი აჩვენა. კარგი იყო, ახლა „მონაკოს“ ველით — აი, ასე თქვა ჩუკოტკის გუბერნატორმა, ლონდონელთა მეპატრონემ და ამ კლუბში, მხოლოდ ფეხბურთელების საყიდლად 110 მილიონი გირვანქის ჩამდებმა, რომან აბრამოვიჩმა.

სხვათა შორის, რაც აბრამოვიჩმა „ჩელსი“ იყიდა, მისი ყოველი თამაშის წინ სტადიონის დინამიკებში „კალინკა“ ისმის, თუმცა... ამჯერად ასე არ მომხდარა, რადგან ლონდონელები ლონდონშივე, ოღონდ სხვა სტადიონზე, „ჰაიბერიზე“ თამაშობდნენ. იქ „კალინკა“ არ უყვართ და... ნამდვილად არ ეგონათ თუ წააგებდნენ, რადგან „არსენალს“ დიდი პრეტენზია აქვს.

მატჩის საკვანძო მომენტები: 45-ე წუთზე ხოსე ანტონიო რეიესმა „არსენალი“ დააწინაურა; 51-ე წუთზე ფრენკ ლამპარდმა გაათანაბრა; 85-ე წუთზე ეშლი კოულმა ბურთი კარის ხაზიდან გამოაგდო, 87-ე წუთზე უეინ ბრიჯი მარცხენა ფეხით თოფივით ისვრის და „ჰაიბერის“ ადუმებს.

„ჩელსის“ მწვრთნელი კლაუდიო რანიერი: „ახლა უკვე ყველაფერი შესაძლებელია. ძნელია აღვწერო საფინალო სასტვენის შემდეგ როგორ ვგრძნობდი თავს. უბრალოდ გავგიჟდი და დაახლოებით 30 წამი რაღაცას ვბოდავდი. რომან აბრამოვიჩიც გაგიჟდა, ყველა გაგიჟდა, გასახდელში სიგიჟე მეფობდა, რადგან ჩვენ ისტორია შევქმენით. ეს „ჩელსის“ ისტორიაა.

საერთოდ, როდესაც შესვენების წინ გოლს უშვებ და გასახდელში შედიხარ, ძალიან გაწბილებულად გრძნობ თავს. ამიტომ მოედანზე დაბრუნების შემდეგ გატანა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩემს ფეხბურთელებს ძლიერი ნებისყოფა და მტკიცე ხასიათი აქვთ. მათ მეორე ტაიმი საუცხოოდ ჩაატარეს, ფანტაზიაც არ აკლდათ და შავ სამუშაოსაც არ მორიდებიან.“

„მონაკოზე“ კი რა გითხრათ, არ არის ეს კარგი ამბავი, რადგან „რეალს“ ძალიან კარგად ვიცნობ, ამ გუნდის წინააღმდეგ ხშირად მითამაშია და ყველა წვრილმანი კარგად ვიცი. „მონაკოზე“ რა ვთქვა? რაკი „რეალს“ მოუგო, ალბათ კარგი გუნდია კარგი ფეხბურთელებით და მწვრთნელებით. მგონი, ფიზიკური მომზადების მწვრთნელიც ძლიერი უნდა ჰყავდეს“.





უეინ ბრიჯის გოლმა კლაუდიო რანიერი და მთელი „ჩელსი“ სიხარულისგან გააგიჟა

„ჩელსის“ აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი: „არსენალმა“ საშინელ დროს გაგვიტანა და ამიტომ არ მგონია პირველი ტაიმის ანგარიში ობიექტურად ასახავდეს ჩვენს თამაშს. ჩვენი ფეხბურთელები მოედანს საბრძოლველად დაუბრუნდნენ, ძლიერმა სულმა იძალა და ღირსეულად გავიმარჯვეთ. მომავალ მეტოქეზე კი იმას გეტყვით, რომ დიდიემ (დეშანმა) დიდი სამუშაო გასწია. დღეს სუსტი გუნდები აღარ არსებობენ. „მონაკოსთან“ ნახევარფინალში თამაში დიდებული იქნება“

„არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი: „ცხადია, უკვე შესაძლებელია, რომ „არსენალმა“ ამ სეზონში ვერაფერი ვერ მოიგოს. ცხვირწინ უძნელესი უქმეები გვაქვს, „ლივერპულთან“ თამაში გველის, სადაც აუცილებლად კარგ შედეგს უნდა მივაღწიოთ“.

მართლაც, „არსენალს“ საშინელმა კალენდარმა უწია. შაბათს ფეხბურთის ასოციაციის თასზე „მანჩესტერთან“ ჰქონდა თამაში, სამშაბათს „ჩელსისთან“ (ორივე წააგო), პარასკევს „ლივერპულს“ ხვდება, ხოლო კვირას, აღდგომა დღეს (წლეულს მართლმადიდებლური... მათებური აღდგომა ჩვენებურს ემთხვევა) „ნიუკასლს“.

ვენგერი: „ვფიქრობ, შაბათს „მანჩესტერთან“ წაგებამ ჩვენს დღევანდელ მარცხში როლი ითამაშა. როდესაც დიდი ხანია არ წაგიგია, პირველი წაფორხილება დიდ დარტყმას გაყენებს, რადგან ამ გრძნობისთვის თავის გართმევას გადაჩვეული ხარ.

„ჩელსისთან“ წაგება განსაკუთრებით იმიტომ მეწყინა, რომ პირველი ტაიმი ჩინებულად ვითამაშეთ და ანგარიში გავხსენით. სამწუხაროდ, მათმა გოლმა ყველაფერი შეცვალა. ჩვენ გავნერვიულდით და მეორე გოლის შეგვეშინდა. ერთი სიტყვით, ამ გოლის შემდეგ გუნდური თამაშის სადავეები დავკარგეთ, მეტოქე კი თავს ჩინებულად გრძნობდა. „ჩელსი“ არაფერს ჰკარგავდა და ამის შეგრძნებამ ფსიქოლოგიური პრობლემები გაგვიჩინა“.

**ბაბუნა ძიძია**

# დალია და ვეღარ გაიღვიძა

## ოუენის ფულისმჭამელი განაჩენს არ დაელოდა

*მაიკლ ოუენმა კარგი ფეხბურთელობით დიდძალი ფული იშოვა. ფულს პატრონი სჭირდებოდა, რომელსაც ლივერპულელი ბოლომდე ენდობოდა. ასეთი პატრონად ოუენმა ოჯახის ახლობელი კაცი, 51 წლის მაიკლ ფლინი შეიგულა და ალალად ნაშოვნი ფული მას ჩააბარა*



ოუენების ოჯახს მაიკლ ფლინმა მილიონი გირვანქა „მოუტეხა"

ფლინიმ სამშენებლო ფირმა „დეკორ ბაი დიზაინის" მფლობელი გახლდათ. გამდიდრებულმა ოუენმა კი სახლი შეიძინა მოლდში (ფლინტშირის საგრაფო) და მისი კეთილმოწყობა ჩაიფიქრა. ამ საქმეს თავად ვერ გაუძლვებოდა და ამიტომაც მშენებლობის კარგად მცოდნე სეხნია ფლინს ანდო. მაიკლ ოუენის სახლი მოლდში ორ მილიონ გირვანქადაა შეფასებული. ამ შენობაში რვა საძინებელი ოთახია და იქ ლივერპულელის ძირძველი მეგობარი გოგონა, 23 წლის ლუის ბონსოლი რვა თვის ბავშვით ცხოვრობს. ამ ბავშვის მამა, ცხადია, მაიკლ ოუენია.

ყმაწვილმა ფეხბურთელმა ფლინი თავისი კერძო ფირმის („ოუენ პრომოუშენს") სახელით დაიქირავა. მას ყოველთვიურად 30 ათასი გირვანქა ჯამაგირი დაუნიშნა და, რაც მთავარია, ოჯახის ახლობელს საკუთარი საბანკო ანგარიშებიც ანდო. მაიკლ ფლინს მოლდის სახლი პატრონის გემოვნების მიხედვით უნდა მოეწყო — გაეფორმებინა და ამ საქმისთვის სრული ნდობაც მიიღო.

სარემონტო სამუშაოები 2002 წელს დაიწყო, მაგრამ, როგორც ფორვარდის ადვოკატები აცხადებენ, ფლინმა საკუთარი ჯიბისთვის უფრო მეტად იზრუნა, ვიდრე დამქირავებლის სახლისთვის.

„ლივერპულის" თავდამსხმელს ვარჯიშები და თამაშები არ აკლდა. მას მშენებლობისა და სახლის კეთილმოწყობისთვის არ ეცალა და ამიტომ საქმის კონტროლი დედას ჯანეტს დაავალა.

დედა გულუბრყვილო აღმოჩნდა, ბუღალტერიაში და მენეჯმენტში არაფერი გაეგებოდა. მაიკლ ფლინს ქალბატონ ჯანეტთან ხარჯთაღრიცხვა მიჰქონდა. ფეხბურთელის დედაც მიამიტურად შვილის საბანკო ანგარიშიდან ყველა ხარჯს იხდიდა. დედიკოს აზრადაც არ მოსვლია, 51 წლის კაცისთვის ერთხელ მაინც მოეთხოვა ჩეკი.

მაიკლ ფლინმა თაღლითობა ასე დაიწყო. „ოუენ პრომოუშენის" ფირმიდან 276 ათასი გირვანქა მოხსნა. ეს თანხა მას თითქოს ქონების დასაზღვევად უნდა გადაეხადა. აღმოჩნდა, რომ რეალურად დაზღვევისთვის მხოლოდ 164 გირვანქა იყო საჭირო. ნაშთი თაღლითის ჯიბეში ჩაჩხრიალდა.

მაიკლ ოუენის დედა ვერაფერს მიხვდა და ფლინსაც სხვა რა უნდოდა. 2003 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით მან დამქირავებელს მუქთა მილიონი გირვანქა მიართვა. ეს ის თანხაა, რომლითაც ფლინი მოლდში ერთ კერძო სახლს შეიძენდა.

51 წლის კაცმა რეალობის გრძნობა დაკარგა და, როგორც ასეთ დროს ხდება, სიხარბის მსხვერპლი შეიქნა. რატომღაც იფიქრა, რომ მისი განმკითხავი არავინაა და სწორედ ამ დროს ოუენმა მას სასამართლოში უჩივლა.

ფეხბურთელის მიერ დაქირავებულმა ვექილებმა დაითვალეს და აღმოაჩინეს — მაიკლ ფლინს მილიონ 200 ათასი გირვანქა მიუთვისებია. მათ შორის 600 ათასი შესრულებული, ან ვითომ შესრულებული სამუშაოების სანაცვლოდ. დანარჩენი 600 ათასი ფლინის ფირმამ ვითომ სამშენებლო მასალებისთვის მოიხმარა.

საოცარია 51 წლის კაცის ფანტაზია. „მოტეხილი" ფულით მას პორტუგალიაში სახლები შეუძენია, რათა ევრო 2004-ისთვის ტურისტებზე გაექირავებინა. შესანიშნავი ბიზნესია, მაგრამ სასამართლომ თაღლითის ყველა საბანკო ანგარიში გაყინა.

რა თქმა უნდა, მაიკლ ფლინი დანაშაულს უარყოფდა. მისი თქმით, ოუენმა შური იძია ძველი ამბის გამო. თურმე ოდესღაც ფლინისთვის ფეხბურთელის სიძეს (დის ქმარს) 150 ათასი გირვანქა უსესხებია. სიძემ ვერ დააბრუნა ვალი და ფლინის ვერსიით, ოუნმა მას ვალის გაქვითვა მოსთხოვა. 51 წლის კაცმა გაქვითა იუარა, ფეხბურთელი თითქოს ამის გამო აუხირდა და სასამართლოში უჩივლა.

სასამართლოში პირველი მოსმენა 24 მარტს შედგა. ოუენი ბრალდებულის დაპატიმრებას ითხოვდა, მაგრამ არ გამოუვიდა. იმავე ღამეს კი მაიკლ ფლინმა თავი მოიკლა. მან ძილის წამლის დიდი დოზა დალია და ექიმებმაც ვეღარ უშველეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

### I დივიზიონი

### გადადებული მატჩები

**ჯილინგემი 0:3 უიგანი**

0:1 ელინგტონი (33), 0:2 რობერტსი (42), 0:3 მაჰონი (67)

**როტერჰემი 1:2 კრისტალ პალასი**

0:1 გრეი (11), 0:2 შიპერლი (27), 1:2 პროქტორი (85)

**უიმბლდონი 1:2 სანდერლენდი**

0:1 მ. სტიუარტი (45), 1:1 კამარა (67), 1:2 ბიფილდი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 39 | 22 | 10 | 7 | 63:34 | 76 |
| ვესტ ბრომვიჩი | 39 | 22 | 10 | 7 | 58:34 | 76 |
| სანდერლენდი | 38 | 19 | 11 | 8 | 55:38 | 68 |
| უიგანი | 40 | 17 | 14 | 9 | 55:40 | 65 |
| ვესტ ჰემი | 40 | 16 | 15 | 9 | 58:43 | 63 |
| მილუოლი | 38 | 17 | 12 | 9 | 50:36 | 63 |
| შეფილდი | 40 | 18 | 9 | 13 | 58:47 | 63 |
| რედინგი | 40 | 18 | 9 | 13 | 51:52 | 63 |
| იფსვიჩი | 40 | 18 | 8 | 14 | 75:66 | 62 |
| კარდიფი | 39 | 16 | 10 | 13 | 62:49 | 58 |
| კრ. პალასი | 39 | 16 | 9 | 14 | 60:56 | 57 |
| ქოვენთრი | 40 | 14 | 13 | 13 | 54:45 | 55 |
| პრესტონი | 40 | 15 | 10 | 15 | 56:53 | 55 |
| სტოკი | 39 | 15 | 10 | 14 | 51:50 | 55 |
| ნოტინგემი | 40 | 12 | 12 | 16 | 52:53 | 48 |
| ქრიუ | 40 | 13 | 9 | 18 | 48:55 | 48 |
| უოლსოლი | 40 | 12 | 12 | 16 | 42:52 | 48 |
| როტერჰემი | 40 | 11 | 13 | 16 | 43:53 | 46 |
| უოტფორდი | 39 | 11 | 11 | 17 | 44:57 | 44 |
| ბარნსლი | 39 | 10 | 14 | 15 | 53:67 | 44 |
| ჯილინგემი | 40 | 12 | 8 | 20 | 40:58 | 44 |
| დერბი | 40 | 10 | 12 | 18 | 43:62 | 42 |
| ბრედფორდი | 40 | 9 | 6 | 25 | 32:57 | 33 |
| უიმბლდონი | 39 | 6 | 3 | 30 | 31:77 | 21 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. I ტური

**ჰამარბი 0:0 მალმიო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 |
| იორგრიტე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| აიკ | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| იურგორდენი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ტრელებორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლანდსკრონა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჰელსინგბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კალმარი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გიოტებორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მალმიო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჰამარბი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ელფსბორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სუნდსვალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| იორებრო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | 0 |

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ლიდსი" რთული ფინანსური მდგომარეობის გამო წამყვან მოთამაშეებს რომ შეელია, იცით. წინა ხელმძღვანელები 23 წლის მეკარის, პოლ რობინსონის გაყიდვასაც აპირებდნენ. მათ „ტოტენჰამთან" წინასწარ შეთანხმებასაც კი მიაღწიეს და წესით, რობინსონი მომავალი სეზონიდან „მამალი" უნდა გამხდარიყო, მაგრამ იორკშირელთა ახალმა მმართველმა ჯერალდ კრესნერმა ეს შეთანხმება გააუქმა და კატეგორიულად განაცხადა, რობინსონი „ლიდსში" დარჩებაო.

**იტალიური** „იუვენტუსის" კაპიტანმა და ლიდერმა ალესანდრო დელ პიერომ თითქმის ბოლომდე მოიშუშა „დეპორტივოსთან" მიღებული ტრავმა. იგი უკვე ვარჯიშობს და სავარაუდოდ მომავალ შაბათს „ლაციოს" წინაალმდეგ ითამაშებს. სამაგიეროდ, „ბებერ ქალბატონს" კვლავაც ვერ დაეხმარება პაველ ნედვედი. ჩეხი ცოტა ხნის წინ დაშავდა და მისი შაბათამდე მომჯობინება ძნელად სავარაუდოა.

**ურუგვაელი** ნელსონ აკოსტა, რომელიც პასპორტის მიხედვით ჩილეს მოქალაქეა, ბოლივიის ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან გადადგა. ბოლივიელები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ამჟამად ბოლო ადგილზე არიან და მხარეები კონტრაქტის გაწყვეტაზეც სწორედ ამის გამო შეთანხმდნენ. ფედერაციას აკოსტასთვის წესით 80 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბოლივიური ფეხბურთის ფინანსური სირთულეები გაითვალისწინა და 25 ათასს დოლარს დაჰყაბულდა.

**იტალიური** „ბრეშას" თავკაცი ჯოვანი დე ბიაზი ცდილობს, რობერტო ბაჯოს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს: „მე ბევრჯერ ვუთხარი რობის, ბუცების ლურსმანზე დაკიდება ჯერ ნაადრევია და თან ეს ფეხბურთელისთვის ძალიან რთული გადასაწყვეტია. მას ვურჩიე, რომ რაც შეიძლება, დიდი ხანი ითამაშოს. ნათელია, რომ ბაჯოს შეუძლია, სულ ცოტა ერთი სეზონი მაინც ჩაატაროს მაღალ დონეზე. შესაძლოა, მან ნაკრებში თამაშის მერე გადაწყვეტილება შეცვალოს, თუ, რა თქმა უნდა, ტრაპატონი არ გადაიფიქრებს და რობერტოს მიიწვევს." — განაცხადა დე ბიაზიმ.

**გერმანელმა** მსაჯმა მარკუს მერკმა ბუნდესლიგის რეკორდი დაამყარა. გასულ შაბათს „ჰანოვერისა" და „მიუნხენის" მატჩი მერკისთვის 241-ე გამოდგა. აქამდე გერმანიის უმაღლეს ლიგაში ყველაზე მეტი, 240 შეხვედრა ჰელმუტ კრუგს ჰქონდა ნამსაჯი. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალი სწორედ მარკუს მერკმა განსაჯა.

**ფრანგი** მცველი ვილი სანიოლის ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგა, როგორც თავიდან ჩანდა. იგი გასულ შაბათს „ბაიერნისა" და „კაიზერსლაუტერნის" მატჩში დაშავდა. თავდაპირველად ექიმები ვარაუდობდნენ, რომ 27 წლის მცველი ევრო 2004-საც გამოტოვებდა, თუმც ხელმეორე გამოკვლევამ აჩვენა, რომ სანიოლი მიუნხენელებს დაახლოებით ოთხ კვირას ვერ დაეხმარება, ხოლო ეროვნულ გუნდს პორტუგალიაში აუცილებლად გაჰყვება.

**ურუგვაის** ნაკრებს მალე ახალი მწვრთნელი ეყოლება. ფეხბურთის ფედერაციამ ხუან რამონ კარასკოს გადაყენება წინა კვირაში ვენესუელასთან საშინაო მატჩში სამარცხვინო 0:3-ის შემდეგ გადაწყვიტა. არადა, კარასკო ამ პოსტზე დიდი ამბიციებითა და დაპირებებით მოვიდა. თავიდან მას სრული ნდობა გამოუცხადეს, მაგრამ ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ფედერაციის პრესატაშის თქმით, ამ ეტაპზე ეს საუკეთესო გამოსავალი იყო.

**ინგლისური** „მიდლსბროს" ფორვარდი მაიკლ რიკეტსი ბეწვზე გადარჩა. მან გასულ ზაფხულს ნაყიდი წითელი „ფერარი" ვერ დაიმორჩილა და ტრასიდან გადავიდა, რის შემდეგაც რიკეტსის ავტომობილი რამდენჯერმე ამოყირავდა. საბედნიეროდ, ფეხბურთელმა დროულად მოასწრო მანქანიდან გადმოსვლა და მხოლოდ მსუბუქად დაშავდა. მისი „ფერარი" კი ისე დაიმტვრა, რომ პოლიციამ ჯართში ჩააბარა.

**ბელგიური** „გენკის" მთავარმა მწვრთნელმა სეფ ვეერგოოსენმა და მისმა თანაშემწე იოს დაერდენმა გუნდი დატოვეს. მათ „გენკის" უხეირო თამაშის გამო თავი დამნაშავეებად სცნეს და ამიტომაც წავიდნენ.

Copa Toyota Libertadores '2004

## ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

### II ჯგუფი. V ტური

**ველეს სარსფილდი (არგენტინა) 1:0 ფენიქსი (ურუგვაი)**

1:0 ბიანკი (70)

**ონსე კალდასი (კოლუმბია) 2:1 მარაკაიბო (ვენესუელა)**

0:1 მ. მარტინესი (32), 1:1 ე. სოტო (34), 2:1 ვალენტიერა (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ონსე კალდასი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 12 |
| ველეს სარსფილდი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| მარაკაიბო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| ფენიქსი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |

### IX ჯგუფი. V ტური

**ოლიმპია (პარაგვაი) 1:1 კურიტიბა (ბრაზილია)**

0:1 კაპიშაბა (33), 1:1 ერნან ლოპესი (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგ კრისტალი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:7 | 10 |
| როსარიო სენტრალი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ოლიმპია | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| კურიტიბა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |

# ალო, მორიგე ოპერატორი ვეა გისმენთ...

*თითქმის არანაირი წინაპირობა არ არსებობდა საიმისოდ, რომ პატარა ჟორჟ მანე ოპონგ უსმან ვეასგან მსოფლიო დონის მეგოლე გამოსულიყო. ევროპა დღეს სავსეა აფრიკელი მოთამაშეებით, მაგრამ 1966 წელს, როცა ვეა დაიბადა, ღატაკ ლიბერიაში ფეხბურთი გასართობი უფრო იყო, ვიდრე სპორტი. ლიბერია ახლაც არაა საფეხბურთო ქვეყანა. მაშ, რამ შექმნა ჟორჟ ვეა?*



## აი, ოჯახი!

ოჯახი, რომელშიც ვეა გაიზარდა, აფრიკული საზომითაც კი მრავალშვილიანი გახლდათ. მომავალი ვარსკვლავის მშობლებს 16 შვილი ჰყავდათ.

სამხრეთამერიკელებისა და ფრიკელებისთვის ფეხბურთი ლამის ერთადერთი შანსია ცხოვრების გაუმჯობესებისა, მაგრამ ვეა სულ სხვა შემთხვევაა. მას არასოდეს უთქვამს, რომ ფეხბურთელობა და ევროპულ ბობოლა გუნდებში თამაში სურდა. ჟორჟის ოცნება მშობლიურ მონროვიაში სატელეფონო სადგურის ოპერატორობა იყო. რა თქმა უნდა, თავის კბილა ბიჭებთან ქუჩაში ბურთს დააგორებდა, გოლებიც ბლომად გაჰქონდა, მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახის წევრობამ აიძულა, სანაძლეოზე ეთამაშა. ჰოდა, ფულის გემო გაიგო და შემდგომში, ცხოვრების მანძილზეც დაქირავებულივით იქცეოდა. გადადიოდა გუნდში, რომელიც მეტ ჯამაგირს გადაუხდიდა.

## აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ

მსუყე ხელფასის ძებნაში ჟორჟმა აფრიკა წინ და უკან გადასერა. თხუთმეტი წლისამ პირველი პროფესიული კონტრაქტი „იანგ სერვაივერზთან“ გააფორმა, მაგრამ ამ გუნდში დიდხანს არ გაჩერებულა. „იანგ სერვაივერზს“ მესამედან მეორე დივიზიონში გადასვლაში დაეხმარა, შემდეგ კი უმაღლესი ლიგის პროვინციულ კლუბ „ბონგ რანგს“ მიაკითხა. ერთი სეზონიც არ ჩაუმთავრებია, დედაქალაქში დაბრუნდა.



კარიერის საუკეთესო წლები ვეამ „მილანში“ გაატარა

მონროვიული გუნდები, „მაიტი ბაროლე“ და „ინვინსიბლ ილევენ“ ლიბერიის ორ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნიან. ვეამ „მაიტი ბაროლეს“ შემადგენლობაში მხოლოდ ორი მატჩი ითამაშა, მაგრამ „ინვინსიბლ ილევენმა“ გაცილებით მეტი ჯამაგირი შესთავაზა და ისიც უმალ გაიქცა. ჟორჟმა აქ ქვეყნის ჩემპიონობა მოიგო და საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ფულმა შემდეგ გეზი კამერუნისკენ აალებინა. როგორც კი იქაურ კლუბ „ტონნერთან“ კონტრაქტი გააფორმა, იმავდროულად კოტ დივუარიდან გაცილებით სარფიანი წინადადება მიიღო და სპილოს ძვლის სანაპიროსკენ მოკურცხლა, თუმც კამერუნელებმა წივილ-კივილი ატეხეს და ვეა უკან დააბრუნეს.

## ევროპისაკენ ჰერი-ჰერი

თვითნაბადმა „შავმა ოქრომ“ „ტონნერში“ გაიბრწყინა. აშკარა იყო, რომ მას აფრიკაში აღარ დატოვებდნენ და 22 წლის ჟორჟს ფრანგული „მონაკოს“ მესვეურებმა მიაკითხეს. იმ წელს კამერუნის ნაკრებს ფრანგი კლოდ ლერუა წვრთნიდა, რომელმაც ვეას თამაში ნახა და მონაკოელებს დაუკავშირდა.

ფრანგული კარიერის სამი წელი ლიბერიელმა სამთავროს გუნდში პატიოსნად გაატარა. პირველივე სეზონში საფრანგეთის თასის ფინალში გავიდნენ და „მარსელთან“ დამარცხდნენ, რომელსაც მაშინ ჟან პიერ პაპენი ჰყავდა. ორი წლის შემდეგ ეს გუნდები იმავე თასის ფინალში კვლავ შეხვდნენ და „მონაკომ“ 1:0 მოიგო. სამ სეზონში ჟორჟ ვეამ ასამდე მატჩში ითამაშა და 50-დე გოლი მიითვალა.

კონტრაქტის დასრულებისთანავე ლიბერიელი პარიზში გადაბარგდა. პსჟ-ში ორი წელი დაჰყო. შეტევაში მისი მეწყვილე დავიდ ჟინოლა გახლდათ.

დედაქალაქის გუნდში ვეამ ორჯერ თასი და ერთხელ (1994) ჩემპიონობა მოიგო. გარდა ამისა, შვიდი გოლით ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი გახდა.

ხუთმა სეზონმა ჟორჟი მაინც ვერ „გააფრანგა“. სახლიც კი არ უყიდია. სულ სასტუმროში ცხოვრობდა და ფრანგულის სწავლა არც უცდია. მიუხედავად ამისა, მოქალაქეობა მისცეს და ფრანგი ქალი შეირთო, რომელმაც ორი შვილი აჩუქა.

## შავ-წითელი

შემდეგი გაჩერება „მილანი“ იყო. „შავ-წითელთა“ რიგებში ვეას დებიუტზე შთამბეჭდავს ვერ ვიტყვით. სეზონისწინა ერთ-ერთ ტურნირში გადამწყვეტი პენალტი გააფუჭა. მოედანზე ტურისტივით დასეირნობდა და კაპელოს აცოფებდა.

სერია A-ს დაწყებისთანავე ყველაფერი დალაგდა. ვეამ პირველივე ტურში გაიტანა. იმავე სეზონში „ლაციოსთან“ ბრწყინვალე გოლი შეაგდო, ერთი წლის შემდეგ კი შედევრი შექმნა — საკუთარი კარის სიახლოვეს დაითრია ბურთი, გზად მეტოქეები გააშეშა და მეტოქის საჯარიმოში შესულმა ზუსტად დაარტყა.

ვეას ბიოგრაფიაში და გულში „მილანს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. „შავ-წითლებში“ ლიბერიელმა ორი „სკუდეტო“ მოიგო. ქომაგები აღმერთებდნენ, მწვრთნელებსა და თანაგუნდელებს შორის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.

ჟორჟი მარკო სიმონესთან მეგობრობდა. ორივეს ძალიან უყვარდა კალათბურთი. სიმონემ, მაიკლ ჯორდანის მსგავსად, 23-ნომრიანი მაისურა მოირგო. მოედანზეც ორივე გამოირჩეოდა არა მარტო თამაშით, ორიგინალური ბუცებითაც. მარკოს თეთრი, ჟორჟს კი წითელი ეცვა.

ვეას მილანური იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. 1999 წელს, „სკუდეტოს“ მოგების შემდეგ, ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა. „რომაში“ გადასვლა ეწადა, მილანელებს კი მეტოქის გაძლიერება არ უნდოდათ.

